საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირან-ოსმალეთის ომები

ირან-ოსმალეთის ომები XVI– XVIII სს., ირანსა და ოსმალეთს შორის ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, სავაჭრო-საქარავნო გზებისა და პუნქტების დასაპყრობად გაჩაღებული ომები.

1514–55 ომი სულთან სელიმ I-სა და შაჰ-ისმაილ I-ს შორის. ოსმალეთის წარმატებებმა აიძულა ირანი უარი ეთქვა მცირე აზიის მიმართულებით შეტევაზე და აგრესია სამხრ. კავკასიისაკენ მიემართა. XVI ს. დამდეგიდან ირანი აღმ. სომხეთში გაბატონდა. 1538 გაანადგურა შირვანშაჰების სახელმწიფო, 1551 – შაქის სამთავრო. 1541-იდან დაიწყო შაჰთამაზ I-ის ლაშქრობები ქართლში. 1548–49 სულეიმან I-მა ირანის შაჰის მფარველობაში შესულ სამცხე-საათაბაგოში დროებით დაიკავა თორთუმი, ახჩაყალა და სხვა ციხეები. 1551 შაჰმა დაიბრუნა ხლათი, არჭეში და სხვ. ქალაქები (იხ. ამასიის ზავი 1555). 1578– 9 0 ო მ შ ი ჩილდირის (ჩრდილის) ტბასთან ოსმალებმა დაამარცხეს (1578 წ. 9 აგვ.) ყიზილბაშები, დაიკავეს სამცხე-საათაბაგო და ქართლი, შეუდგნენ შირვანის დაპყრობას. ოსმალეთმა განდევნა ირანი სამხრ. კავკასიიდან. 1 6 0 3 – 1 2 ო მ ი შაჰ-აბას I-მა დაიწყო. 1603–04 მან ოსმალები განდევნა აზერბაიჯანიდან, დას. ირანიდან, 1605 – აღმ. სომხეთიდან, 1606 – ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, 1607 – შირვანიდან. 1 6 1 6 – 1 9 ო მ ი. ოსმალებმა ისარგებლეს ირანის წინააღმდეგ კახეთისა და შირვანის 1615 აჯანყებით და 1616 დაიწყეს ლაშქრობა. დაიკავეს ყარსი, ალყა შემოარტყეს ერევანსა და ნახიჩევანს, მაგრამ ვერ აიღეს. ამ ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ. 1 6 2 3 – 3 9 ო მ ი. 1624 ირანმა ოსმალები განდევნა სამცხე-ჯავახეთიდან, მაგრამ ოსმალეთმა ისარგებლა გ. სააკაძის აჯანყების შედეგად ირანის დასუსტებით და 1625 დაიკავა ახალციხე და ახალ-ქალაქი, თუმცა 1627 ირანელებმა კვლავ დაიბრუნეს ეს ქალაქები. ოსმალები ამ მხარეს საბოლოოდ 1635 დაეუფლნენ (იხ. ზოჰაბის ზავი 1639). 1723–27 ო მ ი. 1723 ოსმალებმა დაიპყრეს აღმ. საქართველო, აიღეს თბილისი, 1724–25 – აღმ. სომხეთი, განჯა-ყარაბაღი,

შირვანი, აზერბაიჯანი და სხვ. ოსმალეთის აგრესიული ზრახვებით შეშფოთებულმა რუსეთმა 1722–23 დაიკავა კასპიის ზღვის სანაპირო დარუბანდიდან ენზელიმდე და 1724 ივნ. ხელშეკრულებით ოსმალეთთან ერთად გაინაწილა სეფიანთა სამფლობელო სამხრ. კავკასიაში. 17 3 0 – 3 6 ო მ ი დაიწყო ირანის ფაქტობრივმა მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა. მან განდევნა ოსმალები სამხრ. აზერბაიჯანიდან და დას. ირანიდან. 1734–35 წაართვა მოწინააღმდეგეს ჩრდ. აზერბაიჯანი, აღმ. სომხეთი და აღმ. საქართველო. 1 7 4 3 – 4 6 ო მ ი. 1745 წ. 23 აგვისტოს ნადირშაჰმა დაამარცხა ოსმალები ერევნის დას-ით, მაგრამ წარმატების გამოყენება ვერ შეძლო. 1 7 7 5 – 7 9 ო მ ი. ქერიმ-ხან ზენდიმ ისარგებლა რუსეთთან ოსმალეთის მარცხით და 1775 ლაშქარი გაგზავნა ბასრის დასაკავებლად, რ-იც ამ დროს დიდ როლს ასრულებდა ვაჭრობაში ინდოეთსა და სპარსეთის ყურეს შორის და მეტოქეობას უწევდა ბუშირს. 1776 ხანგრძლივი ალყის შემდეგ, ირანელებმა ბუშირი აიღეს, მაგრამ ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1779 ქალაქი თვითონვე დატოვეს.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI–XVII სს.), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990; მ ი ს ი ვ ე, ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999; ჩ ო ჩ ი ე ვ ი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.

ვ. ჩოჩიევი